საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 25 ივლისის №908906 და №908904 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ში მისამართზე ქ. ზესტაფონი. ნ. ნიკოლაძის ქ. №31. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის "საგზაო გრეიდერი" და პროფესიული მომზადების პროგრამის „მძიმე ტექნიკის ოპერატორი" განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, ორივე პროგრამასთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ
„საგზაო გრეიდერის" პროფესიული გადამზადების პროგრამა
ქვესტანდარტი. 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს
მიზანშეწონილია პროგრამის დასახელება სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებსა და პროგრამის შინაარსთან - პროგრამის სახელწოდებაში გამოჩნდეს საქმიანობის კონკრეტული სფერო, კერძოდ, დაემატოს სიტყვა "მართვა".

ქვესტანდარტი 1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

დაკორექტირდეს პროგრამის 1-ლი და მე-2 სწავლის შედეგი, ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი შეფასება და გაზომვა.

„მძიმე ტექნიკის ოპერატორის“ პროფესიული მომზადების პროგრამა

ქვესტანდარტი 1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

დაკორექტირდეს პროგრამის 1-ლი და მე-2 სწავლის შედეგი, ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი შეფასება და გაზომვა.

პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონე.

პროგრამის ხანგრძლივობა „საგზაო გრეიდერის“ შემთხვევაში - 4 კვირაა, ხოლო „მძიმე ტექნიკის ოპერატორის“ შემთხვევაში - 14 კვირა. ორივე პროგრამაზე მსმენელეთა ზღვრული რაოდენობაა - 20. პროგრამების განხორციელების ადგილი - ქ. ზესტაფონი. ნ. ნიკოლაძის ქ. №31.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა აღნიშნული საკითხი. მან აღნიშნა, რომ პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაციით პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ, პროგრამის სახელწოდება, მიზანი და შედეგები შეესაბამება პროგრამის შინაარსს, რაც დასტურდება წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამებით, ამასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაციები, რაც აღინიშნა.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, კერძოდ ორივე პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი. პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები სრულად არ ასახავს იმ საჭიროებებს, რაც სპეციფიურია გადამზადების პროგრამების შემთხვევაში, კერძოდ, თუ რა წინარე ცოდნის, უნარების ან/და გამოცდილების მქონე პირები შეძლებენ პროგრამაზე სწავლას.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით გადამზადების პროგრამაზე სწავლა შეეძლებათ დარგისა და მისი მონათესავე სფეროების კვალიფიკაციის მქონე პირებს, აღნიშნული კომპონენტის შეფასება მოხდება გასაუბრების მიმდინარეობისას, კერძოდ გასაუბრება განხორციელდება პროფესიის მოსინჯვით.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2“-ის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის წესი და პროცედურები.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლება განხორციელდება დაწესებულების A და C სასწავლო გარემოში, ასევე გამოყენებული იქნება ა(ა)იპ ზესტაფონის დასუფთავების და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის და ი/მ დ. კ.-ის კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის მეტი წილი ეთმობა.

წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. თითოეული პროგრამის

განხორციელებაში ჩართული იქნება 5-5 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
აღნიშნული პროგრამებიც წარმოდგენილია ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ "კონსტრუქტ2"-ის მიერ, შესაბამისად დანარჩენი ქვესტანდარტები შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ ორ პროგრამასთან მიმართებაშიც ანალოგიური რეკომენდაციები იყო და შეიძლებოდა კენჭისყრაზე დაყენება, მან მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ "კონსტრუქტ2"-ის „საგზაო გრეიდერის მართვა" /02028/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ "კონსტრუქტ2"-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - საგზაო გრეიდერის მართვა /02028/ **(დანართი 16).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ "კონსტრუქტ2"-ის „მძიმე ტექნიკის ოპერატორი" /02029/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ "კონსტრუქტ2"-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მძიმე ტექნიკის ოპერატორი /02029/ **(დანართი 17).**

საბჭოს სხდომას 13:50 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი თეა გულუა.
საბჭოს სხდომა 14:06 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა.

18. შპს ახალი პროფესიული კოლეჯის „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ /02023/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 26 ივლისის №910965 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა შეისწავლეს შპს ახალი პროფესიული კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ (ID 02023) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 14 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს ახალ პროფესიულ კოლეჯში, მისამართზე ქ. თბილისი, (სოფელი დიღომი), დავით აღმაშენებლის ქ. №52.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში
ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
რეკომენდებულია აღნიშნული პროგრამის პირველი და მეორე სწავლის შედეგების ფორმულირება დარედაქტირდეს, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (შემდგომში მეთოდოლოგიის დოკუმენტი) განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი. კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის პირველი სწავლის შედეგი - „მართლმდიდებელი ეკლესია და

საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიები“ დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „მართლმდიდებელი ეკლესია და საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიების აღწერა“. ასევე მეორე სწავლის შედეგი - „საქართველოში არსებული რელიგიური ძეგლების არქიტექტურისა და ხელოვნების ზოგადი საფუძვლები“ დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით „საქართველოში არსებული რელიგიური ძეგლების არქიტექტურისა და ხელოვნების ზოგადი საფუძვლების გაცნობა“.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი , სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქ. №52.

პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი დოკუმენტით წარმოდგენილი პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ.
აღნიშნული პროგრამის სახელწოდება, მიზანი და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, კერძოდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენლის სასწავლო დატვირთვა პროგრმაით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა არის 12 კვირა, მოცულობა - 240 საათი. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რომელსაც დაწესებულება სხვადასხვა ფორმით უზრუნველყოფს. კოლეჯს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ეპარქიებთან, სადაც ხშირად ეწყობა გასვლითი პრაქტიკული სწავლებები. თეორიული ცოდნის გამოყენება ხდება რეალურ სამუშაო გარემოში. შესაბამისად ცხრილიც იგეგმება ისე, რომ მაქსიმალურად მოქნილად იყოს გამოყენებული დროის რესურსი. მსმენელები პრაქტიკულად ახორციელებენ დაგეგმილ ტურებს. აწყობენ თემატურ პრეზენტაციებს. შესაბამისად დაწესებულება სწავლების პროცესში იყენებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც შეეხება მეორე სტანდარტს, ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია. პროგრამას ჰყავს 5 განმახორციელებელი პირი; მათი კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით; ვიზიტის დროს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადასტურდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება, მზაობა და სურვილი. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიაულური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილი განაცხადით პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 1 ჯგუფში - მაქსიმუმ 12 მსმენელი, ხოლო პროგრამაზე ერთი მიღებისათვის ჯამში - 24 მსმენელი, რაც ეფუძნება არსებულ ინფრასტრუქტურას, სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო ფართს და დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, იურიდიული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა რომ არ ჰქონდა კითხვები და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი პროფესიული კოლეჯის „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ /02023/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი /02023/ **(დანართი 18).**

19. შპს ახალი პროფესიული კოლეჯის „საქმისმწარმოებელი“ /02021/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 26 ივლისის №910966 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა შეისწავლეს შპს ახალი პროფესიული კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის „საქმისმწარმოებელი“ (ID 02021) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 14 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს ახალ პროფესიულ კოლეჯში, მისამართზე ქ. თბილისი, (სოფელი დიღომი), დავით აღმაშენებლის ქ. №52. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ,
ქვესტანდარტი 1.3 მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან
მიზანშეწონილია პროგრამის მიზანი იყოს მეტად კონკრეტული და მოიცავდეს პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ კონკრეტულ კომპეტენციებს/საკითხებს.
ქვესტანდარტი 1.6. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
რეკომენდებულია კორექტირდეს, პროფესიული მომზადების მე-2, მე-3, მე-7 სწავლის შედეგები.
ქვესტანდარტი 1.7 პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია
რეკომენდებულია პროგრამაში გაიწეროს სწავლის შედეგების შესაბამისი თემატიკა, ისე რომ პროგრამის დოკუმენტით შესაძლებელი იყოს პროგრამის ხანგრძლივობის/მოცულობის/მსმენელის სასწავლო დატვირთვის, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურობის სრულყოფილი ანალიზი/შეფასება.
ქვესტანდარტი 1.10 მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას რეკომენდებულია სწავლის შედეგების კორექტირების შესაბამისად შეფასების მიმართულებებში ცვლილებების განხორციელება. ასევე განმსაზღვრელი შეფასება განხორციელდეს პროგრამის ბოლოს, პროექტით/კომპლექსური დავალებით, სადაც მაქსიმალურად იქნება ინტეგრირებული პროგრამის სწავლის შედეგები; შეფასების ინსტრუმენტების/პრაქტიკული დავალებებისთვის შემუშავდეს შეფასების ფურცლები/კრიტერიუმები. შეფასების ინსტრუმენტებში დასტურდებოდეს განმახორციელებელი პირის მხრიდან უკუკავშირი. სასურველია დაწესებულებამ ასევე დანერგოს ვერიფიკაციის პროცედურა, რაც გაზრდის შეფასების სისტემისადმი დადგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფის შესაძლებლობებს.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახე - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, (სოფელი დიღომი), დავით აღმაშენებლის ქ. №52.

პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ.
აღნიშნული პროგრამის სახელწოდება, მიზანი და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, კერძოდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენლის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა არის 12 კვირა, მოცულობა - 176 საათი. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 24 მსმენელი, სწავლება ხორციელდება დაწესებულების A/B სასწავლო გარემოში - 12 სამუშაო ადგილით. მე-12 კვირაში, პროგრამის განხორცილება დაგეგმილია დაწესებულების კანცელარიაში, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საჭირო კომპეტენციების განვითარებისთვის. დაწესებულების მფლობელობაშია ელქტრონული საქმისწარმოების სისტემის eFlow-ს 2 მომხმარებელი (user). საწარმოო პრაქტიკის დროს, მსმენელების დაყოფა ხდება მცირე ჯგუფებად (მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში 4). პროგრამის ფარგლებში შერჩეულია 3 განმახორციელებელი პირი.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, იურიდიული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, იზიარებენ თუ არა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რაზეც დაწესებულების დირექტორმა ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს რეკომენდაციებზე და უახლოეს პერიოდში პროგრამა შესაბამისობაში იქნება მოყვანილი რეკომენდაციებთან.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა მანანა მახარაშვილს კითხვით, აღნიშნული ცვლილებები ხომ არ გამოიწვევდა შინაარსის ცვლილებას, რაზეც მან უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში ეს ცვლილებები არ შეცვლიდა პროგრამის შინაარსს, რადგან თემატიკა აბსოლიტურად შესაბამისობაშია, რეკომენდაციები მხოლოდ დახვეწავს სწავლის შედეგის ფორმულირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი პროფესიული კოლეჯის „საქმისმწარმოებელი“ /02021/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საქმისმწარმოებელი /02021/ **(დანართი 19).**

20. შპს ახალი პროფესიული კოლეჯის „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ /02022/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 26 ივლისის №910976 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მანანა მახარაშვილმა შეისწავლეს შპს ახალი პროფესიული კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ (ID 02022) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 15 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს ახალ პროფესიულ კოლეჯში, მისამართზე ქ. თბილისი, (სოფელი დიღომი), დავით აღმაშენებლის ქ. №52.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში:

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია აღნიშნული პროგრამის პირველი და მეორე სწავლის შედეგების ფორმულირება დარედაქტირდეს, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (შემდგომში მეთოდოლოგიის დოკუმენტი) განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი. კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის პირველი სწავლის შედეგი - „ტიხრული მინანქრის ტექნიკის აღწერა; უსაფრთხოების წესები“ დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „მომინანქრებისთვის გამოსაყენებული ინსტრუმენტების, ხელსაწყო-იარაღების, დანადგარების აღწერა/გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით“.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახე - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 14, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, (სოფელი დიღომი), დავით აღმაშენებლის ქ. №52.

პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ.

აღნიშნული პროგრამის სახელწოდება, მიზანი და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგის ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, კერძოდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირაა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 13 საათი. პროფესიული მომზადების პროგრამისთვის - „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ - გამოიყენება დაწესებულების A და C გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია 7 მსმენელის სამუშაო ადგილით, პრაქტიკის კომპონენტისთვის, თითოეული მსმენელისთვის გამოყოფილია შესაბამისი აღჭურვილობა, ამავე გარემოში

განთავსებულია მინანქრის ღუმელი და გამწოვი მოწყობილობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 2 ჯგუფი, ჯგუფში მაქსიმუმ 7 მსმენელი, სულ 14 მსმენელი.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამისთვის - „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ - გამოიყენება დაწესებულების A და C გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია 7 მსმენელის სამუშაო ადგილით პრაქტიკის კომპონენტისთვის, თითოეული მსმენელისთვის გამოყოფილია შესაბამისი აღჭურვილობა, ამავე გარემოში განთავსებულია მინანქრის ღუმელი და გამწოვი მოწყობილობა. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 2 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ვინაიდან ეს პროგრამაც წარმოდგენილი იქნა იმავე დაწესებულების მიერ, მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკითხის წარდგენისთვის ცენტრის თანამშრომელს და აღნიშნა, რომ მას კითხვები არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი პროფესიული კოლეჯის „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება “ /02022/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება /02022/ **(დანართი 20).**

საბჭოს სხდომაზე, შუამდგომლობის წესით იქნა განხილული **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის თხოვნა,** ''განათების ტექნიკოსის'', ''ხმის ოპერატორის'', ''კონტენტის შემქმნელის'' და ''სარეკლამო ფოტოგრაფიის'' პროგრამებში ცვლილების შეტანის გამო პროგრამების ხანგრძლივობის დაკორექტირების შესახებ შესაბამის გადაწყვეტილებებში.

21. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „განათების ტექნიკოსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1435161 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

22. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „ხმის ოპერატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438108 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

23. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „სარეკლამო ფოტოგრაფია“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438110 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

24. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „კონტენტის შემქმნელი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438113 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხები წარადგინა ნანი დალაქიშვილმა, მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 22 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის წერილი N1004286, რომელიც ეხება, პროფესიული მომზადების პროგრამების: ''განათების ტექნიკოსი'', ''ხმის ოპერატორი'', ''კონტენტის შემქმნელი'' და ''სარეკლამო ფოტოგრაფია'' ხანგრძლივობის ცვლილებას. დაწესებულების მიერ, ცენტრში წარმოდგენილი იქნა განახლებული პროგრამები, კერძოდ,

1. ''სარეკლამო ფოტოგრაფია“ - პროფესიული მომზადების პროგრამისთვის დაწესებულებამ შეცვალა პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში და ნაცვლად 24 კვირისა, პროგრამის განახლებულ დოკუმენტში, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში განისაზღვრა 16 კვირით. აღნიშნული ცვლილება, შესაბამისობაშია კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვის ცვლილებასთან, რომელიც ნაცვლად 6 საათისა, განახლებულ პროგრამის დოკუმენტში, განსაზღვრულია 9 საათით. პროგრამის აღწერის ნაწილში, ფიქსირდება ასევე განახლებული ინფორმაცია, პროგრამის ხანგრძლივობაა 16 კვირა (144 საათი), ნაცვლად 24 კვირისა (162 საათი).

2. ''განათების ტექნიკოსი'' - პროფესიული მომზადების პროგრამისთვის დაწესებულებამ შეცვალა პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში და ნაცვლად 24 კვირისა, პროგრამის განახლებულ დოკუმენტში, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში განისაზღვრა 16 კვირით. აღნიშნული ცვლილება, შესაბამისობაშია კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვის

ცვლილებასთან რომელიც ნაცვლად 6 საათისა, განახლებულ პროგრამის დოკუმენტში, განსაზღვრულია 9 საათით, პროგრამის აღწერის ნაწილში, ფიქსირდება ასევე განახლებული ინფორმაცია, პროგრამის ხანგრძლივობაა 16 კვირა, ბოლო კვირა გათვალისწინებულია განმსაზღვრელი შეფასებისთვის 16 საათი, პროგრამის ხარგრძლივობაა 16 კვირა (160 საათი).

3. "კონტენტის შემქმნელი" - პროფესიული მომზადების პროგრამისთვის დაწესებულებამ შეცვალა პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში და ნაცვლად 24 კვირისა, პროგრამის განახლებულ დოკუმენტში, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში განისაზღვრა 16 კვირით. აღნიშნული ცვლილება, შესაბამისობაშია კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვის ცვლილებასთან, რომელიც ნაცვლად 6 საათისა, განახლებულ პროგრამის დოკუმენტში, განსაზღვრულია 9 საათით. პროგრამის მოკლე აღწერის ნაწილში, ფიქსირდება ასევე განახლებული ინფორმაცია, პროგრამის ხანგრძლივობაა 16 კვირა (144 საათი), ნაცვლად 24 კვირისა (148 საათი).

4. "ხმის ოპერატორი" - პროფესიული მომზადების პროგრამისთვის დაწესებულებამ შეცვალა პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში და ნაცვლად 24 კვირისა, პროგრამის განახლებულ დოკუმენტში, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში განისაზღვრა 16 კვირით. აღნიშნული ცვლილება, შესაბამისობაშია კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვის ცვლილებასთან, რომელიც ნაცვლად 6 საათისა, განახლებულ პროგრამის დოკუმენტში, განსაზღვრულია 9 საათით, პროგრამის მოკლე აღწერის ნაწილში, ფიქსირდება ასევე განახლებული ინფორმაცია, პროგრამის ხანგრძლივობაა 16 კვირა (144 საათი).

ყველა ზემოაღნიშნულ პროფესიულ მომზადების პროგრამებში არ არის შეცვლილი: პროგრამის სახელწოდება, პროგრამის სახე, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. ზოგ შემთხვევაში, დაზუსტებულია ცალკეული თემატიკა და თანმიმდევრობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „განათების ტექნიკოსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1435161 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „განათების ტექნიკოსი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1435161 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 21).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „ხმის ოპერატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438108 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „ხმის ოპერატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438108 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 22).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „სარეკლამო ფოტოგრაფია“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438110 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „სარეკლამო ფოტოგრაფია“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438110 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 23).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „კონტენტის შემქმნელი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438113 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯისთვის „კონტენტის შემქმნელი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის №1438113 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 24).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 14:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

ელექტრონული
მფლობელსაუღიარ
ელექტრონული

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02087	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. ონი, მინდელის ქ. №1

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02092	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. სამტრედია, თელიას ქ. №2

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02083	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. მარტვილი, მშვიდობის ქ. №11

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02088	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №50

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01977	საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	20	ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01973	საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	6	ქართული	20	ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01975	ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	20	ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01976	ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	6	ქართული	20	ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2

დანართი 9

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01971	პორტალური და ჯოჯგინა ამწის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	20	ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2

დანართი 10

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01970	პორტალური და ჯოჯგინა ამწის ოპერატორი	პროფესიული გადამზადება	მესამე	6	ქართული	20	ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2

დანართი 11

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01972	ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	20	ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2

დანართი 12

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01974	ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი	პროფესიული გადამზადება	მესამე	6	ქართული	20	ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2

დანართი 13

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01950	საველე ბანაკის მოწყობა	პროფესიული მომზადება	მესამე	2	ქართული	24	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. წირქვალი და მისი მიმდებარე ტერიტორია

დანართი 14

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02026	ექსკავატორ-დამტვირთველის მართვა	პროფესიული გადამზადება	მესამე	4	ქართული	20	ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 15

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02027	მუხლუხა ჰიდრავლიკური ექსკავატორის მართვა	პროფესიული გადამზადება	მესამე	4	ქართული	20	ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 16

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02028	საგზაო გრეიდერის მართვა	პროფესიული გადამზადება	მესამე	4	ქართული	20	ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 17

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02029	მძიმე ტექნიკის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	14	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ. №31

დანართი 18

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02023	ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	24	ქ. თბილისი (სოფ. დიღომი), დავით აღმაშენებლის ქ. №52

დანართი 19

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02021	საქმისმწარმოებელი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	24	ქ. თბილისი (სოფ. დიღომი), დავით აღმაშენებლის ქ. №52

დანართი 20

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02022	ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	14	ქ. თბილისი (სოფ. დიღომი), დავით აღმაშენებლის ქ. №52

დანართი 21

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01753	განათების ტექნიკოსი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	16	ქართული	15	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68

დანართი 22

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01756	ხმის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	16	ქართული	15	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68

დანართი 23

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01757	სარეკლამო ფოტოგრაფია	პროფესიული მომზადება	მეოთხე	16	ქართული	15	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68

დანართი 24

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01755	კონტენტის შემქმნელი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	16	ქართული	15	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68